ბაზისბანკი
ჰუალინგ ჯგუფის წევრი

BASISBANK
Hualing Group Member

# საბანკო გარანტია Nკორპ.17.12/03

(საავანსო)

ქ. თბილისი

17 დეკემბერი, 2013 წელი

**პრინციპალი**

შპს "ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია" (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, ჯავახიშვილის ქ., N51, ს/კ 202161640)

**ბენეფიციარი**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე–საბურთალოს რაიონში, ვაჟა ფშაველას გამზ. N33; ს/კ 211328703)

**გარანტი**

სს „ბაზისბანკი", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზირი N1. ს/კ 203841833.

**საგარანტიო თანხის ზღვრული მოცულობა**

4990 (ოთხი ათასცხრაასოთხმოცდაათი) ლარი

**გარანტიის გაცემის საფუძველი:**

პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის 2013 წლის 13 დეკემბერს გაფორმდა „გამარტივებული საშუალებით სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში საქონლის შესყიდვის შესახებ" #7/5 ხელშეკრულება (შემდგომში ტექსტში **„კონტრაქტი"**).

წინამდებარე საბანკო გარანტია უზრუნველყოფს კონტრაქტს და იგი არ ვრცელდება კონტრაქტში გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე განხორციელებულ ცვლილებაზე.

**გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება**

გარანტი, გარანტსა და პრინციპალს შორის 2013 წლის 17 დეკემბერს გაფორმებული #2013-12-17/0014/LLG/101671/009 საბანკო გარანტიის ხელშეკრულების საფუძველზე, კისრულობს გამოუთხოვად ვალდებულებას, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების გარეშე, სს "ბაზისბანკში" გახსნილ პრინციპალის ანგარიშსწორების ანგარიშზე #GE67BS0000000055236674 ბენეფიციარის მიერ, კონტრაქტით გათვალისწინებული ავანსის თანხის ჩარიცხვის შემთხვევაში, ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში გადაგიხადოთ თანხა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 4990 (ოთხიათასცხრაასოთხმოცდაათი) ლარს.

**საგარანტიო თანხის მოთხოვნის უფლება:**

გარანტის მიერ საგარანტიო თანხის გაცემა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაირღვა პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულება.

ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნაში სრულად უნდა იყოს ჩამოყალიბებული:

- თუ რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ იმ ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფად გაიცა წინამდებარე საგარანტიო გარანტია;
- დარღვევის მოცულობა გამოხატული ფულად ექვივალენტში;

მოთხოვნასთან ერთად გარანტს უნდა წარედგინოს პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი/მტკიცებულება.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე გარანტს უნდა წარედგინოს ზემოთ მითითებულ მისამართზე, წინამდებარე საგარანტიო წერილის მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

**გარანტიის ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა**

წინამდებარე გარანტიის ვალდებულება განისაზღვრება ბენეფიციარის მიერ პრინციპალის, სს "ბაზისბანკში" გახსნილ N GE67BS0000000055236674 ანგარიშსწორების ანგარიშზე (შემდგომში „ანგარიში") მომსახურებისათვის გათვალისწინებული ჩარიცხული ავანსის მოცულობით.

წინამდებარე გარანტია ძალაში შედის 2013 წლის 17 დეკემბრიდან და მოქმედებს 2014 წლის 03 მარტის ჩათვლით, თუ გარანტიის მოქმედების ვადა მანამდე არ შეწყდა ამავე საბანკო გარანტიის წერილში მითითებული რომელიმე პირობის გამო.

**საგარანტიო თანხის შემცირება**

საგარანტიო თანხის მოცულობა ავტომატურად მცირდება პრინციპალის მიერ კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროპორციულად.

**გარანტიის მოქმედება შეწყვეტა**

გარანტიის მოქმედება წყდება ერთ–ერთ ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევაში:

- იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც არის იგი გაცემული;
- პრინციპალის მიერ კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებით;
- გარანტის მიერ გარანტიის თანხის გადახდით;
- ბენეფიციარის მიერ თავის უფლებებზე უარის წერილობით განცხადებით ან საგარანტიო წერილის ორიგინალის უკან დაბრუნებით.

საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის დავას განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დავით ცაავა ____________________
გენერალური დირექტორი

დავით ნიკოლაიშვილი ____________________
კორპორატიული დაკრედიტების განყოფილების უფროსი